სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ანგარიში (2024წ.)

- ✓ სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებების/წერილების საერთო რაოდენობამ შეადგინა - 43 ერთეული. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე არ მოუმართავთ;
- ✓ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული 40 განცხადება/წერილი სრულად დაკმაყოფილდა. სამი განცხადება ამჟამად განხილვის ეტაპზეა. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების ან უარის თქმის გადაწყვეტილებას იღებს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი - ფონდის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი ნიკოლოზ დოლიძე;
- ✓ სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ პერსონალური მონაცემები დაცულია ფონდის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტში, სპეციალურად გამოყოფილ, უსაფრთხო ადგილას. პერსონალური მონაცემების სხვა პირზე გაცემის ფაქტს ადგილი არ ჰქონია. ინფორმაციის დამუშავება და საჯარო მონაცემთა ბაზაში შენახვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- ✓ სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის თანამშრომელთა მხრიდან "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" დარღვევის არცერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა, შესაბამისად, პასუხისმგებელ პირებს დისციპლინური სახდელი არ დაკისრებიათ.